დამტკიცებული:
სსიპ - სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტის
აკადემიური საბჭოს დადგენილებით N56; 23. 12. 2020 წ ოქმი N8
საბჭოს თავმჯდომარე, რექტორი, პროფესორი მ. ბერიძე

სსიპ - სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტის პერსონალურ მონაცემთა დაცვის წესი

მუხლი 1. ზოგადი დებულებანი

1. სსიპ სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტის (შემდგომში უნივერსიტეტი) პერსონალურ მონაცემთა დაცვის წესი შემუშავებულია „პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ" საქართველოს კანონის, „საჯარო სამართლის იურიდიული პირის - სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტის წესდების დამტკიცების თაობაზე" საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2014 წლის 13 მაისის #52/ნ ბრძანებით დამტკიცებული წესდების, „სსიპ სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტის შინაგანაწესისა და დისციპლინური პასუხისმგებლობის ნორმების " საფუძველზე.

2. წესის მიზანია, პერსონალური მონაცემის დამუშავებისას და გაცემისას უზრუნველყოს უნივერსიტეტის ადმინისტრაციული, აკადემიური, დამხმარე (მათ შორის შტატგარეშე), მოწვეული (შესაბამისი კვალიფიკაციის მქონე სპეციალისტი და პროფესიული განათლების მასწავლებელი) და მასწავლებელთა პერსონალის (შემდგომში „პერსონალი"), სტუდენტების, პროფესიული სტუდენტების, მსმენელების უფლებათა და თავისუფლებათა, მათ შორის, პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობის დაცვა.

3. წესში გამოყენებულ ტერმინებს აქვთ შემდეგი მნიშვნელობა:

პერსონალური მონაცემი - ნებისმიერი ინფორმაცია, რომელიც უკავშირდება იდენტიფიცირებულ, ან იდენტიფიცირებად ფიზიკურ პირს.

მონაცემთა სუბიექტი - ნებისმიერი ფიზიკური პირი (სტუდენტი, პროფესიული სტუდენტი, აკადემიური, ადმინისტრაციული, მოწვეული პერსონალი, პროფესიული განათლების მასწავლებელი და სხვა), ვისი პერსონალური მონაცემებიც მუშავდება.

მონაცემთა დამმუშავებელი - სსიპ -სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტი.

მონაცემთა დამუშავება - მონაცემთა მიმართ შესრულებული ნებისმიერი მოქმედება, კერძოდ, შეგროვება, ჩაწერა, ფოტოზე აღბეჭდვა, აუდიოჩაწერა, ვიდეოჩაწერა, ორგანიზება, შენახვა, შეცვლა, აღდგენა, გამოთხოვა, გამოყენება, ან გამჟღავნება მონაცემთა გადაცემის, გავრცელების, ან სხვაგვარად ხელმისაწვდომად გახდომის გზით, დაჯგუფება, ან კომბინაცია, დაბლოკვა, წაშლა, ან განადგურება. (ეს შეიძლება იყოს: სტუდენტების და პროფესორ-მასწავლებლების შესახებ ინფორმაციის ვებგვერდზე გასაჯაროება; ვიდეოთვალთვალი; ელექტრონულ პროგრამასა და სისტემაში მონაცემების აღრიცხვა, ან მოძიება; სხვა პირებისთვის, ან ორგანიზაციებისთვის მონაცემების გამჟღავნება; პირადი საქმის წარმოება და სხვა).

მუხლი 2. მონაცემთა დამუშავების საფუძვლები

1. მონაცემთა დამუშავება დასაშვებია, თუ:

ა) არსებობს მონაცემთა სუბიექტის თანხმობა;

ბ) მონაცემთა დამუშავება გათვალისწინებულია კანონით;

გ) მონაცემთა დამუშავება საჭიროა უნივერსიტეტის მიერ მისთვის კანონმდებლობით დაკისრებული მოვალეობების შესასრულებლად;

დ) მონაცემთა დამუშავება საჭიროა მონაცემთა სუბიექტის სასიცოცხლო ინტერესების დასაცავად;

ე) მონაცემთა დამუშავება აუცილებელია მონაცემთა დამმუშავებლის ან მესამე პირის კანონიერი ინტერესების დასაცავად, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც არსებობს მონაცემთა სუბიექტის უფლებებისა და თავისუფლებების დაცვის აღმატებული ინტერესი;

ვ) კანონის თანახმად, მონაცემები საჯაროდ ხელმისაწვდომია ან მონაცემთა სუბიექტმა ისინი ხელმისაწვდომი გახადა;

ზ) მონაცემთა დამუშავება აუცილებელია კანონის შესაბამისად მნიშვნელოვანი საჯარო ინტერესის დასაცავად;

თ) მონაცემთა დამუშავება აუცილებელია მონაცემთა სუბიექტის განცხადების განსახილველად (მისთვის მომსახურების გასაწევად).

2. იმისათვის, რომ პერსონალური მონაცემების დამუშავებას საფუძვლად დაედოს მონაცემთა სუბიექტის თანხმობა, აუცილებელია რომ ეს თანხმობა:

• იყოს ნებაყოფლობითი;

• გამოხატული იყოს წინასწარ, მონაცემთა დამუშავებამდე;

• გამოხატული იყოს მონაცემთა დამუშავებასთან დაკავშირებული ინფორმაციის მიღების შემდეგ;

•გამოხატული იყოს კონკრეტული მკაფიოდ განსაზღვრული კანონიერი მიზნით მონაცემთა დამუშავებაზე;

• გამოიხატოს ისეთი საშუალებით, რომლითაც ნათლად დგინდება მონაცემთა სუბიექტის ნება.

მუხლი 3. მონაცემთა დამუშავების პრინციპები

უნივერსიტეტის მიერ მონაცემთა დამუშავებისას დაცული უნდა იქნეს შემდეგი პრინციპები:

ა) სამართლიანობა და კანონიერება - მონაცემები უნდა დამუშავდეს სამართლიანად, კანონიერად, ადამიანის ღირსების შეულახავად.

ბ) კონკრეტული კანონიერი მიზნის არსებობის აუცილებლობა - მონაცემები შეიძლება დამუშავდეს მხოლოდ კონკრეტული, მკაფიოდ განსაზღვრული, კანონიერი მიზნებისათვის. დაუშვებელია მონაცემთა შემდგომი დამუშავება სხვა, თავდაპირველ მიზანთან შეუთავსებელი მიზნით;

გ) ადეკვატურობა და პროპორციულობა - მონაცემები შეიძლება დამუშავდეს მხოლოდ იმ მოცულობით, რომელიც აუცილებელია შესაბამისი კანონიერი მიზნის მისაღწევად. მონაცემები უნდა იყოს იმ მიზნის ადეკვატური და პროპორციული, რომლის მისაღწევადაც მუშავდება ისინი;

დ) ნამდვილობა და სიზუსტე - მონაცემები ნამდვილი და ზუსტი უნდა იყოს და საჭიროების შემთხვევაში, უნდა განახლდეს. კანონიერი საფუძვლის გარეშე შეგროვებული და დამუშავების მიზნის შეუსაბამო მონაცემები უნდა დაიბლოკოს, წაიშალოს ან განადგურდეს;

ე) მონაცემების შენახვის ვადა - მონაცემები შეიძლება შენახულ იქნეს მხოლოდ იმ ვადით, რომელიც აუცილებელია მონაცემთა დამუშავების მიზნის მისაღწევად. იმ მიზნის მიღწევის შემდეგ, რომლისთვისაც მუშავდება მონაცემები, ისინი უნდა დაიბლოკოს, წაიშალოს ან განადგურდეს ან შენახული უნდა იქნეს პირის იდენტიფიცირების გამომრიცხავი ფორმით, თუ კანონით სხვა რამ არ არის დადგენილი.

მუხლი 4. განსაკუთრებული კატეგორიის მონაცემთა დამუშავება

1. უნივერსიტეტში აკრძალულია განსაკუთრებული კატეგორიის მონაცემთა დამუშავება.

2. ამ მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებულ მონაცემთა დამუშავება შესაძლებელია მონაცემთა სუბიექტის წერილობითი თანხმობით ან იმ შემთხვევებში, როცა:

ა) ნასამართლობასთან და ჯანმრთელობის მდგომარეობასთან დაკავშირებული მონაცემების დამუშავება აუცილებელია შრომითი ვალდებულებების და ურთიერთობის ხასიათიდან გამომდინარე, მათ შორის, დასაქმების თაობაზე გადაწყვეტილების მისაღებად;

ბ) მონაცემთა სუბიექტმა საჯარო გახადა მის შესახებ მონაცემები მათი გამოყენების აშკარა აკრძალვის გარეშე;

გ) მონაცემები მუშავდება სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე პირთა განათლების უფლების რეალიზების მიზნით;

3. ამ მუხლის მე-2 პუნქტის საფუძველზე მონაცემთა დამუშავების შემთხვევაში დაუშვებელია მონაცემთა სუბიექტის თანხმობის გარეშე მონაცემთა გასაჯაროება და მესამე პირისათვის გამჟღავნება.

მუხლი 5. ვიდეო თვალთვალის განხორციელება

1. უნივერსიტეტის პერსონალისა და სტუდენტების/პროფესიული სტუდენტების/მსმენელების პირადი უსაფრთხოების, გამოცდების/ტესტირების ორგანიზებულად ჩატარების და უნივერსიტეტის საკუთრებაში არსებული და სახელმწიფოს მიერ სარგებლობის უფლებით გადაცემული ქონების დაცვის მიზნით ხორციელდება უნივერსიტეტის შენობების შესასვლელის და გარე პერიმეტრის ვიდეოთვალთვალი.

2. ვიდეოთვალთვალი ხორციელდება წარმომადგენლობითი საბჭოს მიერ დამტკიცებული „სსიპ - სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტში ვიდეო მონიტორინგის (ვიდეო თვალთვალის) ჩატარების წესის“ შესაბამისად (იხ. დანართი). მონაცემთა დამუშავების თაობაზე მონაცემთა სუბიექტის ინფორმირების მიზნით, თვალსაჩინო ადგილებში განთავსებულია შესაბამისი გამაფრთხილებელი ნიშნები.

3. ვიდეოთვალთვალით მოპოვებულ მოცემებზე წვდომა აქვს მხოლოდ სისტემის წვდომაზე უფლებამოსილ პირ(ებ)ს. რომელ(ებ)იც პასუხისმგებელ(ებ)ია მოპოვებული მონაცემების დაცვაზე.

მუხლი 6. მონაცემთა სუბიექტისათვის ინფორმაციის მიწოდება

1. უშუალოდ მონაცემთა სუბიექტისაგან მონაცემთა შეგროვების შემთხვევაში უფლებამოსილი პირი ვალდებულია მონაცემთა სუბიექტს მიაწოდოს შემდეგი ინფორმაცია:

ა) მონაცემთა დამმუშავებლისა და უფლებამოსილი პირის (ასეთის არსებობის შემთხვევაში) ვინაობა და რეგისტრირებული მისამართი;

ბ) მონაცემთა დამუშავების მიზანი;

გ) სავალდებულოა თუ ნებაყოფლობითი მონაცემთა მიწოდება; თუ სავალდებულოა – მასზე უარის თქმის სამართლებრივი შედეგები;

დ) მონაცემთა სუბიექტის უფლება, მიიღოს ინფორმაცია მის შესახებ დამუშავებულ მონაცემთა თაობაზე , მოითხოვოს მათი გასწორება, განახლება, დამატება, დაბლოკვა, წაშლა და განადგურება.

2. ამ მუხლის პირველ პუნქტში აღნიშნული ინფორმაციის მიწოდება არ არის სავალდებულო, თუ მონაცემთა სუბიექტს უკვე აქვს იგი.

3. თუ მონაცემთა შეგროვება არ ხორციელდება უშუალოდ მონაცემთა სუბიექტისაგან, უნივერსიტეტის უფლებამოსილი პირი ვალდებულია მოთხოვნის შემთხვევაში მონაცემთა სუბიექტს მიაწოდოს ამ მუხლის პირველ პუნქტში აღნიშნული ინფორმაცია.